



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი



ა. სუმბათაშვილ-იუჟინი

ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი (1857-1927), რუსი დრამატურგი, მსახიობი. თეატრალური მოღვაწე. დაიბადა ტულის ოლქის სოფ. კუკუვკაში. 1863-77 წლებში ცხოვრობდა საქართველოში. თბილისის ვაჟთა I გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (1877-81). 1877 წელს შედგა მისი, როგორც დრამატურგის, დებიუტი. ავტორია ოცამდე პიესისა. ა. სუმბათაშვილ-იუჟინმა საქართველოს მიუძღვნა ისტორიული დრამა "ღალატი" (1903). 1889 წლიდან ითარგმნებოდა ქართულ ენაზე. პროფესიულ სცენაზე პირველად გამოვიდა 1876 წელს თბილისში სოლცევის ფსევდონიმით. 1878-79

წლებში გამოდიოდა პეტერბურგის თეატრებში. 1882 წლიდან გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა მოსკოვის მცირე თეატრში: 1909 წლიდან იყო დასის მმართველი, 1918 წელს - სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე, 1923 წლიდან - დირექტორი. მისი საუკეთესო როლებია: დიუნუა, მარკიზ პოზა (შილერის "ორლეანელი ქალწული", "დონ კარლოსი"); დონ-კარლოსი; მაკბეტი, რიჩარდ III (შექსპირის "მაკბეტი", "რიჩარდ III"); ფამუსოვი (გრიბოედოვის "ვაი ჭკუისაგან") და სხვ. 1923 წელს მონაწილეობა მიიღო რუსთაველის თეატრში კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლში "მზის დაბნელება საქართველოში" ზ. ანტონოვის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით.

ა. სუმბათაშვილ-იუჟინი გარდაიცვალა ნიცაში. დაკრძალულია მოსკოვში, ნოვოდევჩინის სასაფლაოზე.